საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-900

07/10/2020

ქ. თბილისი

სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დასავლეთ საქართველოს რეგიონული ფილიალის მაღალი ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზების და ქვესადგურის მიმდინარე საქმიანობისა და ქ. ფოთში 110 კვ ქვესადგურისა და 110 კვ ელექტროგადამცემი ხაზის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (ელექტროგადამცემი ხაზი „ჭალადიდის“ გაორჯაჭვიანება) პროექტზე სკოპინგის დასკვნის დამტკიცების შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დასავლეთ საქართველოს რეგიონული ფილიალის მაღალი ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზების და ქვესადგურის მიმდინარე საქმიანობისა და ქ. ფოთში 110 კვ ქვესადგურისა და 110 კვ ელექტროგადამცემი ხაზის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტზე (ელექტროგადამცემი ხაზი „ჭალადიდის“ გაორჯაჭვიანება) სკოპინგის დასკვნა N79 (01.10.2020);
2. სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N79 (01.10.2020) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დასავლეთ საქართველოს რეგიონული ფილიალის მაღალი ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზების და ქვესადგურის მიმდინარე საქმიანობისა და ქ. ფოთის 110 კვ ქვესადგურისა და 100 კვ ელექტროგადამცემი ხაზის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 10 სექტემბრის N 2-809 ბრძანება და სკოპინგის დასკვნა N72 (26.08.2020);
4. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქ. ფოთის მერიის საინფორმაციო დაფაზე;

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი